# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 133. ხუთშაბათი, 6 ივლისი 1903 წ. გაზეთის № 2201.

3 მანეთი და 50 კაპ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი ცნობის ფურცელი კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 ივლისიდან წლის დამლევამდე.

## დავიწყებული ლეგენდები

I

ცრემლად დამდნარი სიმართლე*).

ვიდრე სიმართლე ამ გვარ ფიქრებში იყო გართული, მამონამ ქოხის მშვენიერ ყვავილებისაგან რბილი საწოლი მოიმზადა, არხეინად წამოგორდა და ორიოდე წამის შემდეგ ლაზათიანი ხვრინვაც ამოუშო. სიმართლე ისევ ფიქრებში იყო გართული. მართალია, ისე ძალიან აღარ სწუხდა, როგორც მამონას მოსვლის პირველ ხანს, და გამარჯვების იმედიც არ ჩაჰქრობოდა, მაგრამ მაინც გულზე მძიმე ლოდივით რაღაც დასწოლოდა და სულს უხუთავდა. შუაღამე გადასულიყო, მაგრამ გათენებამდის მაინც კარგა ხანი იყო დარჩენილი. ძილისთვის სულ არა ჰფიქრობდა და თუნდა კიდეც ეფიქრა, განა გულზე მოწოლილი წყეული ლოდი მოსვენებას მისცემდა? მამონა კი არხეინად ხვრინავდა, ამონაქშენ ჰაერით ქოხის ჰაერსა სწამლავდა და უიმისოდაც აღელვებულ სიმართლეს სუნთქვას უძნელებდა. სიმართლემ ქოხში ყოფნა ველარ აიტანა, ადგა და გარედ გამოვედა.

ბნელი ღამე იყო. მთვარე არსადა სჩანდა: ალბად მყუდრო ბინა მოენახნა და ტკბილს განსვენებას მისცემოდა. საიდუმლოებით მოცული ცა ოდნავ ღრუბლებით დაფარულიყო და შიგა-და-შიგ მოწმენდილ ადგილებიდან ვარსკვლავები ციმციმით გამოიცქირებოდნენ. კარგა მძლავრი ნიავი უბერავდა, ამიტომ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლები ცაზე ისე დასრიალებდნენ, თითქო სადმე არიან მიწვეულნი და იქ მიეშურებიანო. ქოხის ირგვლივ ჩარიგებული, ცამდის ამართული, ხეები ძალზე ირხეოდა და ისეთს ხმას გამოსცემდა, თითქო ახლო სადმე ჩანჩქერი ჩამოჰქუხსო. უდარდელსა და ბედნიერ სოფელს ტკბილად ჩასძინებოდა. მიდამო ღამის წყვდიადით იყო მოცული, არსაიდან შუქი, არსაიდან მცირე რამ სინათლე არ მოსჩანდა, თვით სოფლიდანაც-კი, ვინაიდგან მაშინ სანთელი ხმარებაში არ იყო...

ქოხის მახლობლად იდგა სიმართლე და დაღვრემილი თავის სამწყსოს გადმოჰყურებდა. მართალია, თვალით არაფერი მოსჩანდა, მაგრამ ისე კარგად იცნობდა იმის მდებარეობას, რომ იმ წყვდიადშიაც-კი ყოველი სახლი თვალწინ ეხატებოდა. ნიავი უფრო ძლიერდებოდა, დასისინებდა და სიმართლის ანთებულ სახეს აგრილებდა.. ღრუბლები უფრო და უფრო იკრიბებოდა, ცას ეფარებოდა, მოციმციმე ვარსკვლავს თავის ბნელ ზეწარში ახვევდა და საშინელ წყვდიადის გამეფებას მით უფრო ხელს უწყობდა. ჰაერში წვიმის სუნი ტრიალობდა. ბოლოს ცა მთლათ ღრუბლებით დაიფარა, აღარც ერთი ვარსკვლავი აღარ მოსჩანდა. სამაგიეროდ ძალზე ელავდა და დრო გამოშვებით მიდამოს ანათებდა. ელვას ჭექა-ქუხილი მოჰყვა, ქუხილს—მძლავრი ქარი და ბოლოს საშინელი სეტყვა და თავსხმა წამოვიდა. ჰუნების სისასტიკემ სიმართლე ფიქრებისაგან ძლივს გამოარკვია და შინ შესვლა გაახსენა. გასწია ქოხისკენ და თან გუნებაში გაივლო—ღმერთი ხომ არაფრით გავარისხე, ასეთ სასჯელს რად გვიგზავნისო?




მარიამ მაგდალინელი.—სურათი ლეფევრისა

საშინელი ღამე ტურფა, მშვიდობიან დილაზე შეიცვალა. მშვენიერი მოწმენდილი დილა იყო. ღამის ქარიშხლისა და თავსხმის შემდეგ იქაურობა ისეთ სუფთა ჰაერს მოეცვა, რომ, როგორც იტყვიან ხოლმე, მკვდარს ფეხებს გააქნევინებდა. ისეც მშვენივრად მორთულ-მოკაზმული მთა წვიმის შემდეგ უფრო მეტის მომხიბვლელობით გამოიყურებოდა. მწვანეთ აბიბინებულ ველ-მინდორს უფრო მუქი ფერი დასდებოდა და მშვენიერ ხავერდს დამსგავსებოდა.

სიმართლე და მამონა დილა ადრიან ადგნენ. გარდასწყვიტეს, სოფლად წასულიყვნენ, ხალხი შეეკრიბნათ და ეკითხნათ: მფარველად რომელს აირჩევდნენ—ისევ სიმართლეს თუ მამონას. ამ აზრით ქოხიდან გარედ გამოვიდნენ და სოფლისკენ გაემართნენ.

ის იყო მზე ამოდიოდა. იმისი ოქროს ფერი სხივები ჯერ მაღალ ხის კენწეროებს მიეფინა, შემდეგ თან და თან ძირს იწევდა და ბოლოს მიწასაც დაეცა. მამონას ისედაც მოელვარე ტანისამოსმა ათასფრათ დაიწყო ბრწყინვა, ლაპლაპი. იმისგან გამომკრთალი სხივები ისე ელავდა რომ ადამიანი თვალს ვერ

*) იხ. „დამატება“ № 131

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუსწორებდა. მართალია, იმ ადგილიდან სოფელი კარგა მოშორებით იყო, მაგრამ ელვარება არც სოფლელთ გამოეპარათ; შენიშნეს თუ არა, ასტეხეს ერთი ხმაურობა, ღრიანცელი; ერთმანეთს ხელით ანიშნებდნენ და თან გაოცებულნი გაიძახოდნენ—ნეტა რა უნდა იყოსო. სიმართლე მთლად გადაავიწყდათ, მთელი მათი ყურადღება მამონაზე იყო მიქცეული. მამაკაც-დედაკაცები და ბავშვები ღომხალივით ერთმანეთში აირივნენ და ერთი ორომ-ტრიალი გაჰქონდათ. იმ გვარი რამ ჯერ ეხლაც რომ გამოჩენილიყო, ჩვენი გლეხები კი არა, თვით ქალაქის მცხოვრებნიც კი დაფეთდებოდნენ და აბა იმ დროინდელი ხალხი რაღა გასამტყუნარია.

მამონა და სიმართლე მთიდან დაბლა ჩამოდიოდნენ. რამდენიც სოფელს უახლოვდებოდნენ, პრწყინვა და ელვარება იმდენი უფრო ძლიერდებოდა და ხალხიც უფრო მეტს მღელვარებას ეძლეოდა. თავიანთი სამუშაო მთლად გადავიწყებო-



ტბის ნაპირას ეგვიპტეში.—სურათი ჟერომისა.

დათ, ქუჩაში გამოსულიყვნენ და მოუთმენლად ელოდდნენ საოცარ ამბის დანამდვილებით შეტყობას. ბოლოს ხალხი რომ ქუჩებში ველარ ეტეოდა, საზღრთალო მოედანზე გავიდა და იქიდან დაუწყო ცქერა. ზოგიერთებმა ერთხანად გადასწყვიტეს გაქცეულიყვნენ და ჩქარა ენახათ მომავალი საკვირველება, მაგრამ რაღაც გამოურკვეველმა შიშმა შეაყენა. ბავშვებმა-კი უკუ აგდეს შიში და გაუბედაობა და ხტუნვით გაიქცნენ. აკეა: რისაც მოზრდილებს ეშინიანთ, ხშირად ბავშვები ყურადღებასაც არ აქცევენ ხოლმე.

აგერ კიდეც მოახლოვდა. აქამდის თუ მარტო ბრწყინვა მოსჩანდა, ეხლა თვით იმისი ტანიც გამოჩნდა. გამოჩნდა აგრეთვე სიმართლეც: მაგრამ ვაი იმ გამოჩენას! თითქო აჩრდილიაო, ისე მოსჩანდა. ხალხი დაწყნარდა და დადუმებული ელოდდა. მამონა ისეთის მედიდურებითა და სიამაყით მოაბიჯებდა, თითქო მთელის სამყაროს მბრძანებელიაო. მაგრამ ხალხში რომ შეერია, მედიდურობა გვერდზე გადასდო და ისე ეშმაკურადა და ოსტატურად იღიმებოდა, რომ ის გულ უბრყვილო ხალხი მთლად მოაჯადოვა. ხალხი შემოეხვია და ისეთის აღტაცებით დაუწყო ცქერა, როგორც ბავშვი ახლად შეძენილ სათამაშოს შეჰყურებს ხოლმე. სიმართლეს-კი ისევე უყურადღებოთ ექცეოდა, როგორც იგივე ბავშვი დაძველებულ სათამაშოს... მამონა ყველა ამას კარგადა ჰხედავდა, გულში უხაროდა და მადლობის ნიშნად ყველას უხვად აჯილდოვებდა მაცდურის ღიმილით. ფერ დაკარგული სიმართლე გაჩუმებულიყო და თავის მრევლის აღტაცებას გულდათუთქული შეჰყურებდა. სხვა დროს ხალხის სიხარული თავის სიხარულად მიაჩნდა, ეხლა-კი დაღვრემილიყო და რამდენადაც ხალხი მეტს აღტაცებას ეძლეოდა, იმდენი უფრო გული ეთუთქებოდა. იმ ერთის ღამის განმავლობაში ისე გამოცვლილიყო, თითქო დიდის ხნის ავადმყოფიაო. ბოლოს ხალხის დაფეთება ველარ აიტანა და, როცა ცოტა დაწყნარდა, აკანკალებულის ხმით მიჰმართა:

— უხსოვარ დროიდან ჩემ მფარველობის ქვეშა ხართ და ამ ხნის განმავლობაში თქვენი ბედნიერება და კმაყოფილი ცხოვრება არაფერს დაუჩრდილავს: არც სიმშილს, არც წყურვილს და არც სხვას... ბედნიერებისა და ნეტარების უხვი კალთა თქვენ თავზეა დაბღერტილი. მაგრამ, აი ახლა ეს უცნობი გამოდის და მეუბნება: „შენ აქედან გამეცალე, ხალხის მბრძანებელი მე უნდა ვიყოვო". ეხლა თქვენზეა დამოკიდებული, ჩვენ ორში რომელს ირჩევთ, მე თუ ამას?—ესა თქვა, ხელი მამონასკენ გაიშვირა და გაჩუმდა.

ხალხი სდუმდა, არავინ ხმას არ აიღებდა. უიმისოდაც გაფითრებულ სიმართლეს ფერი უფრო ეკარგებოდა. ამასობაში მამონა ვაღმოდგა და დაიწყო:

— დიაღ, უხსოვარ დროიდან ამის მფარველობის ქვეშ იყავით, მაგრამ საქმით კი ვერაფერ მფარველობას გიწევდათ. აბა, რაში გეტყობათ მფარველის ხელი: ტანზე არაფერი გაცვიათ, თქვენი ქოხები ღორის ბუნაგს უფრო ჰგავს, ვიდრე თქვენისთანა კეთილშობილ ადამიანების საცხოვრებელს. ერთი შეჰხედეთ თქვენ მშვენიერ ქალებს: ნუ თუ მაგათი ბროლის გული, ყური, ყელი და თითები ძვირფასის თვლებით არ უნდა იყოს შემკული? ან სხვაფრივ რაღაში გაყრიათ ხეირი? მე რომ ვყოფილიყავ (აქ ძალზე გაიღიმა და ხალხს თვალთმაქცურად გადაავლო თვალი), თქვენ მაგრე სიღარიბეში აღარ იქნებო-

ით ჩაფლულნი და ჩემსავით ძვირფას ტანისამოსით იქნებოით მორთულ-მოკაზმული. ეხლა გეკითხებით: გსურთ თუ არა, ომ ჩემსავით მდიდრულადა და ფუფუნებით სცხოვრობდეთ, უ ისევ წინანდელებრ პირუტყვულ ცხოვრებას განაგრძობთ? უ ჩემი თავი გსურთ, მაშინ ეს ვიღაც სიმართლეა, აქედან ენდა გავაძეოთ, რომ თავის უმოქმედობისა და უხეირობის ნაოფი მარტოობაში იგემოს. თუ არა და ისევ მე გაგეცლებით ულ მოკლული და დათუთქული, რომ ჩემი გულწრფელი იკეთე და თქვენდამი სიყვარული ვერ...

— შენ გვინდიხარ, შენ!..—გაისმა უცებ გრიალი და იმოენა ხალხი მამონას ფეხქვეშ ჩაუვარდა. ქალების დაფეთებას ომ ნუღარ იკითხავთ... ხალხი ისე იყო აღტაცებული, რომ იმართლე აღარავის გაახსენდა და ისიც კი ვერ შენიშნა, ფრთებ ამოსხმული როგორ აფრინდა ზეცაში...

ფრთებ შესხმული სიმართლე ცის უსაზღვრო სივრცეში აფრინავდა, დასრიალებდა და თან იმისთანა ადგილს ეძებდა, რომელსაც დაკარგულ ქვეყნის მაგიერობა შესძლებოდა. მთელი სამყარო მოიარა, კიდის კიდემდე გადააბრუნა, მაგრამ ვერას გახდა. თითქმის არც ერთი ვარსკვლავი, არც ერთი სხეული საიდუმლოებით მოცულ ცისა დაუვლელი არ დარჩა. ზოგი მათგანი მთლად ჩამქრალიყო და სიცოცხლის ნიშან წყალს გამოსალმებოდა: ყველაფერი ისე გამოფიტულიყო, რომ ერთ რბილს ან სველ რამეს ვერ შეჰხვდებოდით... ზოგი რამდენიამე მილიონ წლის სიკვდილის შემდეგ ის იყო ხელახლა ისხამდა სიცოცხლის ფრთებს, იქაური სულიერი არსებანიც განვითარების პირველ საფეხურზე აბობღებულიყვნენ და მეორეს შესცქეროდნენ...

სიმართლემ რამდენი ხანი, რამდენი საუკუნე იარა, ეს არავინ იცის და, ვგონებ, არც საჭიროა ამისი ცოდნა... მხოლოდ ეს არის, რომ ამაო ტანტალი საბრალოს ძალიან მოჰბეზრდა. წარსულით გულ-დაკოდილს მომავლის იმედიც მთლად გასცრუებოდა და ახლა სწორედ ისე უმიზნოდ, უაზროდ დადიოდა, როგორც მწარე უიმედობით შეპყრობილი ადამიანი დადის ხოლმე. ერთხელ ერთ ჩამქრალ, მთლად უდაბნოდ გარდაქცეულ მნათობის კლდე-ღრეში ტანტალის დროს მოაგონდა თავისი ყოფილი ქვეყანა, თვალწინ წარმოუდგა იმისი ტიდებული სანახავები და ნახვის სურვილმა აიტანა. ასეა: პატრონს სიკვდილით დაობლებულს რომ სხვაფრივ ნუგეში ვერ უპოვნია, ისევ იმის საფლავის ცქერით ნუგეშობს ხოლმე...

სიმართლესაც მოუნდა თავის ბედნიერების სამარის ნახვა, თავქვე დაეშო და დიდის ხნის სრიალის შემდეგ დედამიწას მიუახლოვდა. მაგრამ შავ ბოლსა და ბუღში ისე გა ვეულიყო, რომ ვერაფერი გაარჩია. ცოტა კიდევ დაეშო და—ჰოი საკვირველებავ!—ის უწინდელი, ხელ შეუხებელი და ბუნებასთან საუცხოვო ჰარმონიით შეთანხმებული ქვეყანა რა რიგად გამოცვლილიყო! ოდესმე სიმართლის საბრძანებელ ადგილს ბუნებრივი სიმშვენიერე მთლად დაეკარგნა: ყვავილებისა და ხეების კამარიან ქოხის ნაცვლად წამოეჭიმნათ უზარმაზარი სულის შემხუთავი სასახლეები, რომლის გარეგანი ძვირფასი მორთულობაც ადამიანს თვალს უჭრელებდა. ხალხი? ჯანღონითა და სიცოცხლით სავსე ხალხი მთლად გამოცვლილიყო, გადაშენებულიყო და წინანდელ ადამიანის აჩრდილსღა წარმოადგენდა. კისერზე მონობის მძიმე უღელი წამოედო, ფეხებში რკინის ბორკილები გაეყარნა და ხვნეშითა და ქაქანით მამონას ჭაპანს მიათრევდა. ტანჯვა-კვნესისა და უიმედო ოხვრაგმინვის ხმა შორს გაისმოდა, მაგრამ გამგონი არავინ იყო: ყველას თავის საკუთარი ჭირი აწუხებდა, ყველა საკუთარის გმინვით იყო დაყრუებული...

ცივი ანკარა წყაროები დამშრალიყო, მდინარეებს სახე ეცვალნა და იმათ სანაცვლოდ ერთმანეთში არეული სისხლისა, ცრემლისა და ოფლის ნაკადულები დიოდა... ყველა რაიმე წყეული ფიქრით იყო დაბრმავებული და შეუგნებლად მამონას თაყვანის ცემასა და გუნდრუკის კმევაში იყო გართული. ხალხის სიბრმავით გასუქებულს მამონასაც თავის ძლიერების გამომხატველ ემბლემად ფული გამოეცა და ყველა იმ ფულის შეძენის ჩარხში იყო ჩაბმული... სიყვარული, სათნოება, პატიოსნება, სილამაზე, ერთის სიტყვით, ყველაფერი, თვით ცოცხალი ადამიანიც-კი ფულით იყიდებოდა... ყველაფრის საზომი, ყველაფრის ფასის დამდები ფული იყო. ამ პატარა ლითონსა თუ ფარატინის ნახევს ისეთი მძლეთა-მძლეობა მიეღო, რომ წინანდელ სადა, მყუდრო ცხოვრებისთვის დანიშნული ქოხები ვეებერთელა სასახლეებად გარდაექცია. მთელი ქვეყანა ქარხნებითა და იმის მაგვარებით გაევსო. იმათი საბოლე ბუხრები მაღლა აემართნა და იქიდან ამონადენ მჭვარტლიან ბოლის წყალობით ჰაერსა სწამლავდა.

ხალხი ერთი ათად, ერთი ასად უფრო მეტს მუშაობდა, ვიდრე მაშინ, როცა სიმართლის მფარველობის ქვეშ იყო, მაგრამ ერთი ათასადაც უფრო ღარიბი იყო. იმის ოფლისა და შრომის ნაყოფი ვიღაცის უძირო ორმოში გადადიოდა. მძლავრი სუსტსა სჩაგრავდა, იმონავებდა და, როგორც თავისი სურვილი იყო, ისე ამუშავებდა. ჩაგრულნი ყველა ამასა ჰგრძნობ-



იერიში.—სურათი ფუკიერისა.

დნენ, მაგრამ მაინც ვერ მოეხერხებინათ, რომ მაჰონა გაეგდოთ და მონობა დაემსხვრიათ. პირიქით ერთმანეთსა მტრობდნენ და, მამონას სასიხარულოდ, ძალ-ღონეს უფრო ისუსტებდნენ. ყველა სწუხდა, ყველა ოხრავდა, გარდა მამონასი და იმის დამქაშებისა, რომელთაც უმრავლესობის მაჯა ხელში დაეჭირათ, იმის უმთავრესი ძარღვი გაეჭრათ, გაშმაგებულნი სისხლს დასწაფებოდნენ და იგრეც გასიებულ მუცლებს უფრო მეტად ისიებდნენ. მაგრამ, როგორც ეტყობოდათ, ყველას ბედნიერების ჩამთქმელნი, არც თუ თვით იყვნენ ბედნიერნი: რაც უფრო მეტს სვამდნენ სისხლს, იმდენი უფრო გაუმაძღრობა ემცნეოდათ. აღარსად სჩანდა უწინდელი თანასწორობა, არც ერთობა და აღარც გულწრფელობა. წინანდელი მყუდრო და კმაყოფილი ცხოვრება აღარავის ახსოვდა და მარტო ოცნების სამოავროს საკუთრებად-ღა გარდაქცეულიყო. არსებობის ბრძოლას მძლეთა-მძლეობის ბასრი კლანჭები ისე მაგრა ჩაევლო, რომ ყველაფერი დავიწყებისთვის მიეცათ...

სიმართლე ყველა ამას მაღლიდან დასცქეროდა და საშინელი სევდა სულს უხუთავდა. როგორც ოდესღაც მათის სიხარულით თითონაც ხარობდა ხოლმე, ეხლა იმათი უბედურობა და ტანჯვა ვაება იმას უფრო მეტად სტანჯავდა. ბოლოს

იმოდენა ვაების ყურება ველარ აიტანა, „ვაი ქვეყანავ, დაღუპულო!“ ესღა წამოიძახა, მწარე ქვითინი ამოუშო და... მთლად ცრემლად დადნა.

იმის შემდეგ, სადაც-კი ჭეშმარიტი ცრემლი იღვრება, სიმართლეც ოდნავ იქ გაიბრწყინებს ხოლმე. იმისი ხსოვნა და ეს ლეგენდაც სწორედ იმ იშვიათმა ჭეშმარიტმა ცრემლმა დაიცვა, თორემ აქამდის იგიც ისევე დადნებოდა, როგორც იმისი უბედური გმირი—სიმართლე...

ბ. ეგანგულოვი.

## ჩვენი ახლანდელი სტუდენტობა.



ბაღი.



ქაღალდის თამაშობაში.



უნივერსიტეტის აუდიტორიაში.



სეირნობა.



„ცხელ კაბინეტში“



სტუდენტი
წინანდელი ახლანდელი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 5 Іюля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.